თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N5

ქ. თელავი 2024 წლის 21 მაისი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე **ლევან კოჭლოშვილი.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **უჩა ჭოტიაშვილი, დავით ღაღანიძე, ზურაბ მოსახლიშვილი, ზურაბ მუსაევი, ზაზა ტატულიშვილი, გიორგი ქართლელიშვილი, ივანე კირვალიძე, ნიკოლოზ მაისურაძე.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ზურაბ ლილუაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო''-ს თავმჯდომარეები: **ოთარ ესიტაშვილი, თამარ ხატიაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური კულტურის განათლებისა და ახალგაზრულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ხაჭაპურიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი **იმედა კევლიშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **დავით ნუსხელიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უმცროსი სპეციალისტი **ნინო ასანაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარის სპეციალისტი **ნიკოლოზ ესიტაშვილი.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს. ლ. კოჭლოშვილი

მოისმინეს:1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

აზრი გამოთქვეს: **ლევან კოჭლოშვილმა** აღნიშნა, რომ 2024 წლის ბიუჯეტის ცვლილება ეხება ინფრატრუქტურული ღონისძიებების დაფინანსებას კერძოდ: 100.0 ათასი ლარია გათვალისწინებული ქ. თელავში სოლომონ ლიონიძის ქუჩის II შესახვევში სანიაღვრე კოლექტორის მოსაწყობად, 15.0 ათასი ლარი ვანთის, ბუშეტის, დოლიაურის, კისისხევის და რუისპირის დასავლეთით არსებული ხევების გაწმენდის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაძენად.

60.0 ათასი ლარი ვარდისუბნის კემპინგთან არსებული ტერიტორიის კეთილმოსაწყობად.

საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე მომხრე ყველა

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე **ლევან კოჭლოშვილი.**